საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №8
2014 წლის 29 იანვარი

ქ. თბილისი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №144 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №144 ბრძანებაში (სსმ III, 30.07.2010, №93, მუხ.1374) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“;

ბ) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1^3 და 1^4 პუნქტების, 14^7 მუხლის 4^1 პუნქტის და მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 14^{18} მუხლის მე-2 პუნქტის, 19^1 მუხლის მე-6 პუნქტის, 38-ე მუხლის მე-4 და მე-10 პუნქტების, 63^2 მუხლის პირველი პუნქტის, 79-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 91^4 მუხლის მე-5 პუნქტის, 91^{10} მუხლის მე-2 პუნქტის, 91^{11} მუხლის პირველი პუნქტის, 91^{18} მუხლის მე-3 პუნქტის და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,“.

2. ბრძანებით დამტკიცებული წესის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესი“;

ბ) მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 მუხლი:

,,მუხლი 3^1

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63^2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინმსწრები სააუქციონო მომსახურების საფასური შეადგენს 100 ლარს.“;

გ) მე-9 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 მუხლი:

,,მუხლი 9^1

1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მმართველის ფუნქციის შესრულებისათვის საზღაურის ოდენობა შეადგენს ამოღებული თანხის 7%-ს.

2. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 82-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზედამხედველის ფუნქციის შესრულებისათვის საზღაურის ოდენობა შეადგენს ამოღებული თანხის 2%-ს.“.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**